

ანგარიში

2023-2024 აკადემიური წლის საშემოდგომო სემესტრისთვის ERASMUS+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი პროფ. ირინე დანელია, პროფ. ლია ამირანაშვილი და ასისტენტი ინგა კუპრაძე ვიმყოფებოდით პალერმოს უნივერსიტეტში (Universita' degli Studi di Palermo – UniPa) (პალერმო, იტალია) 2024 წლის 19 თებერვლიდან 24 თებერვლის ჩათვლით. ვიზიტი განხორციელდა პარტნიორ ქვეყნებს შორის სწავლა-სწავლებისათვის აკადემიური პერსონალის მობილურობის პროექტის ფარგლებში.

ამ პერიოდის განმავლობაში შევხვდით პალერმოს უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ოფისის ხელმძღვანელს კიარა აჯოვალასიტს. ასევე შევხვდით პალერმოს უნივერსიტეტის აგრარული, საკვებისა და ტყის მეცნიერებების დეპარტამენტის პროფესორს ანტონინო გალატის. შეხვედრების დროს დაიგეგმა კონკრეტული დროები და ფორმატი ჩვენი აქტივობებისთვის.

ჩვენ მიერ ჩატარდა ლექციები პალერმოს უნივერსიტეტის სხვადასხვა მიმართულების დოქტორანტებისთვის.

ირინე დანელიას ლექცია ეხებოდა საქართველოს ფლორის, როგორც კავკასიის ეკორეგიონის უმნიშვნელოვანეს ბიომრავალფეროვნების ცენტრის, მიმოხილვას. პრეზენტაციაში ასევე წარმოდგენილი იყო საქართველოს აგრობიომრავალფეროვნება. გაკეთდა აქცენტები და დეტალურად იქნა განხილული ვაზისა და ხორბლის კულტურა საქართველოში. აგრარული მიმართულების აუდიტორიას წარედგინა საქართველო, როგორც ხორბლისა და კულტურული ვაზის წამომშობის ერთ-ერთი უმთავრესი ცენტრი. განხილული იქნა ენდემური სახეობები და ადგილობრივი ჯიშები. სატყეო საქმის მიმართულების სტუდენტებისათვის წარდგენილი იქნა საქართველოს ტყეების ტიპები, მათი უნიკალური მრავალფეროვნება და ძირითადი შემადგენელი ტყისშემქმნელი სახეობები. გლობალური გამოწვევების გათვალისწინებით საუბარი იყო საფრთხეებსა და რისკებზე, კლიმატის ცვლილებასა და ჰაბიტატების დეგრადაციაზე, კონსერვაციულ პრიორიტეტებზე.

ღია ამირანაშვილმა თავის პრეზენტაციაში სტუდენტებს გააცნო საქართველოში გავრცელებული რძის პროდუქტების მრავალფეროვნება და მიკროორგანიზმების როლი ამ პროდუქტების დამზადების პროცესში მიმდინარე ბიოქიმიურ პროცესებში, მათი ქიმიური და ორგანოლეპტიკური მახასიათებლების ფორმირებისას; ასევე ის განსხვავებული ტექნოლოგიები, რომლებითაც ხდება ქართული ტრადიციული ყველების სხვადასხვა სახეობის (ტენილი, თუმური გუდა, დამბალხაჭო, ნარჩვი) მიღება და მომწიფება. საკითხმა გამოიწვია ინტერესი მსმენელებში და გაიმართა დისკუსია რძის პროდუქტების მიკრობული შემადგენლობის დადგენის მეთოდების შესახებ; ნარჩვის დამზადების მსგავსი ტექნოლოგია დამახასიათებელია იტალიური ყველისთვის და შეკითხვები დაისვა ამ მიმართულებითაც. ამ საკითხზე მოხდა აგრეთვე ინფორმაციის (პუბლიკაციების) გაცვლა პროფ. ლ. ამირანაშვილსა და დოქტორანტ ენრიკო ვიოლას შორის.

ინგა კუპრადის ლექცია ეხებოდა საქართველოს ლიქენების ბიომრავალფეროვნებასა და მათ პრაქტიკულ გამოყენებას. პრეზენტაციაში განხილული იყო საქართველოს არიდული და სემიარიდული ჰაბიტატების ლიქენების მრავალფეროვნება და მათი პოტენციური გაუდაბნოების ბიოლოგიური მონიტორინგისთვის. ასევე სტუდენტები გაეცნენ საქართველოში ლიქენებით ღებვის ტრადიციულ გამოყენების ისტორიას, ტექნიკასა და კულტურულ მნიშვნელობას.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი დავესწართ აგრეთვე ე.წ. Welcome Party-ის და შევხვდით ღონისძიების ორგანიზატორებსა და სტუდენტებს.

დავათვალიერეთ პალერმოს უნივერსიტეტის მე-3, მე-4 და მე-19 კორპუსები.

ვიზიტის პერიოდში გავეცანით პალერმოს უნივერსიტეტის ბოტანიკურ ბაღს და გავეცანით ბაღის მცენარეულობის მრავალფეროვნებას; შევხვდით პალერმოს ბოტანიკური ბათის დირექტორს და საინტერესო კონტაქტები დავამყარეთ ბაღის თანამშრომლებთან; შეხვედრის დროს ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღსა და პალერმოს ბოტანიკურ ბაღს შორის, რომელსაც ესწრებოდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დელეგაცია სრული შემადგენლობით.

ქვემოთ მოცემულია ვიზიტის დროს განხორციელებული აქტივობების ამსახველი ფოტომასალა (სურ. 1-3).



Dottorato SAAFM 38 Ciclo UNIPA



Feb 21 · 🌐



Seminar held by Professors of the Georgian Technical University organised as part of the Research Training activities of the PhD Course





სურ. 1. პალერმოს უნივერსიტეტში ჩატარებული ლექციების ამსახველი ფოტომასალა



სურ.2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომლები Welcome Party-ზე



სურ. 3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომლები პალერმოს ბოტანიკურ ბაღთან გაფორმებული მემორანდუმისას

ვფიქრობთ, ჩვენი ვიზიტი გააღრმავებს ორმხრივ ურთიერთობებს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და პალერმოს უნივერსიტეტს შორის.

ირინე დანელია

ლია ამირანაშვილი

ინგა კუპრაძე



სურ. 3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომლები პალერმოს ბოტანიკურ ბაღთან გაფორმებული მემორანდუმისას

ვფიქრობთ, ჩვენი ვიზიტი გააღრმავებს ორმხრივ ურთიერთობებს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და პალერმოს უნივერსიტეტს შორის.

ირინე დანელია

ლია ამირანაშვილი

ინგა კუპრაძე